

## ეპიდემიოლოგიური გადასვლა საქართველოში

*გიორგი მელაძე*

[giorgi.meladze@tsu.ge](mailto:giorgi.meladze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, II კორპ., თბილისი, საქართველო

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ერთ-ერთ თვალსაჩინო მოვლენას სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის სტაგნაცია წარმოადგენს, რომელიც 50 წელზე მეტია გრძელდება. საქსტატის მონაცემებით 1960-2016 წწ. მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა მამაკაცებში მხოლოდ 0.1 წლით გაიზარდა, ხოლო ქალებში 1.4 წლით და 2016 წელს შესაბამისად 69.2 და 77.2 წელი შეადგინა. დროის იგივე მონაკვეთში ევროკავშირის ქვეყნებში იგივე პარამეტრმა მამაკაცებში 11.3 ხოლო ქალებში 11.4 წლით მოიმატა და 2016 წელს შესაბამისად 78.0 და 83.4 წელის ტოლი იყო. აღნიშნულ წელს საქართველოში მამაკაცების მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 8.8 ხოლო ქალების 6.2 წლით ნაკლები იყო ევროკავშირის ქვეყნებზე.

დაფიქსირებული ფაქტის უმთავრესი მიზეზები ეპიდემიოლოგიური გადასვლის განსხვავებული სცენარით განვითარებაში უნდა ვეძიოთ. 1960-იანი წლების შუა პერიოდში საქართველო და დასავლეთ ევროპის ქვეყნები აღნიშნული გადასვლის მეორე ეტაპს მიუახლოვდნენ, რომელიც მოკვდაობის გამომწვევი მიზეზების რადიკალურად განსხვავებული სტრუქტურით ხასიათდებოდა და დაავადებათა მკურნალობისა და პროფილაქტიკის განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა დროის მოთხოვნის შესაბამისად შეძლეს არსებული სტრატეგიის მოდერნიზება, რასაც შედეგად ბავშვთა მოკვდაობის საგრძნობი შემცირება, გარდაცვალებათა დიდი ნაწილის მაღალ ასაკებში გადანაცვლება და სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის მატება მოჰყვა შედეგად. არსებული პრობლემა საქართველოში ვერ იქნა გადაჭრილი, რის შედეგადაც პირველი ეპიდემიოლოგიური გადასვლა დაუსრულებელი აღმოჩნდა.

1990 წელს ჯანდაცვაზე დანახარჯები ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 3,0%-ს შეადგენდა, ხოლო 1998 წელს კი 0,5%-ს, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ნორვეგია, საფრანგეთი, ბელგია), აღნიშნული თანხა მთლიანი შიგა პროდუქტის 7%-ზე მეტი იყო. 2000 წელს სახელმწიფოს მიერ ერთი ადამიანის ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხა 4,5 დოლარს შეადგენდა. საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, ოჯახთა 75% ჯანდაცვაზე 5 დოლარზე ნაკლებს ხარჯავდა, რაც ერთ სულზე დაახლოებით 1,5 დოლარის ტოლი იყო. გამოკვლევების თანახმად მოსახლეობის 87,7%-მა განაცხადა, რომ მათ არასოდეს გაუვლიათ საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება, ხოლო მოსახლეობის 98%-ზე მეტს არასოდეს გაუვლია შემოწმება სიმსივნეზე.

უკანასკნელ წლებში, სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში გატარებული ღონისძიებების შედეგად, ქვეყანაში შეიმჩნევა სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის მცირე მატების ტენდენცია.

საქართველოში არსებული დემოგრაფიული სიტუაციიდან და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის სფეროში უახლოეს 5-10 წელიწადში რადიკალური პოზიტიური ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია.